№1304 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

სს „სტიმორ ასოსიატეს ს.ა. წარმომადგენლობა საქართველოში“ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაშვებულ იქნეს გამონაკლისი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ სს „სტიმორ ასოსიატეს ს.ა. წარმომადგენლობისთვის საქართველოში“ (ს/კ 202450837) სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გასაცემი დამატებითი სესხის თანადაფინანსებაზე.

2. დაევალოს ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, განახორციელოს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ სს „სტიმორ ასოსიატეს ს.ა. წარმომადგენლობისთვის საქართველოში“ გასაცემი სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება შემდეგი პირობებით:

ა) სესხის თანხა – 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარი;

ბ) სესხის მიზნობრიობა – სასათბურე მეურნეობის მშენებლობა (ძირითადი და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება);

გ) სესხის ვადა – 47-83 თვე (საშეღავათო პერიოდი 2016 წლის დეკემბრამდე);

დ) სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი – 11%;

ე) თანადაფინანსების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 10%;

ვ) საპროცენტო თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა – 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) აშშ დოლარი.

3. სს „სტიმორ ასოსიატეს ს.ა. წარმომადგენლობისთვის საქართველოში“ დამატებითი სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების სხვა პირობები განისაზღვროს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ პირობების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**